

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 4

17.11.2022 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეოთხე სხდომა გაიმართა.

შეხვედრის დაწყების დრო 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის მერი - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**.

საფინანსო სამსახურის უფროსი - **დალი ტლაშაძე**

ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის წარმომადგენლები: **გიგა ბერიძე, გუჯა გეგელაშვილი**

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ახალაგზარდული საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტალახაძე.

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. იოსებ ალიმბარაშვილი
3. ნანა ტერმაკოზაშვილი
4. ზურაბ ზურაბაშვილი
5. ვალერი სუხიშვილი
6. მალხაზ გოჩაშვილი
7. თინა ბრეგვაძე
8. თამარ კაპანაძე

**დღის წესრიგი:**

- I. გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა;
- II. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების მიმდინარე პროცესები;
- III. კულტურისა და დასვენების პარკი "ახალბაღის" მიმდინარე მდგომარეობის განხილვა;
- IV. მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების განხილვა;
- V. ქუჩების სახელდების შესახებ მოძიებული ინფორმაციის ანალიზი;
- VI. სანიაღვრე არხების გაწმენდის და ნაგავსაყრელების საკითხი;

**თამარ კაპანაძე** - მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს მდივანმა თამარ კაპანაძემ, მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და გააცნო დღის წესრიგი. წარადგინა მოწვეული სტუმრები და მომხსენებლები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის მიხედვით სიტყვა გადასცა გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს - დალი ტლაშაძეს.

- I. **გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა;**

*მომხსენებელი: დალი ტლაშაძე*

**დალი ტლამაძე** - წარადგინა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი შემუშავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციით და მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით. გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი მომზადდა 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით. ფინანსურ დოკუმენტებში გათვალისწინებულია რეალური ფინანსური რესურსები. გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს 2023-2026 წლებისათვის წარმოადგენს შვიდი პრიორიტეტული მიმართულება:

- ინფრასტრუქტურის განვითარება,
- დასუფთავება და გარემოს დაცვა,
- განათლება,
- კულტურა,
- ახალგაზრდობა, სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა,
- ეკონომიკური განვითარება.

საბჭოს წევრებს გააცნო 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები: შემოსულობები, გადასახადები, სხვა შემოსავლები, გადასახდელები, ხარჯები.

დეტალურად ისაუბრა: ინფრასტრუქტურის 2023 წლის პროექტების, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების, საკუთარი შემოსავლების შესახებ. მიმოიხილა გარდამავალი პროექტები ღირებულების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტით. დასუფთავება გარემოს დაცვა, სადაც შედის ნარჩენების მართვა, რეკრეაციული სივრცეების მოვლა პატრობა. განათლება, რომელიც მოიცავს, სკოლამდელი განათლებისა და ზოგადი განათლების ხელშეწყობას. კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი, მოიცავს კულტურისა და სპორტის განვითარებას, რელიგიური ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: მოიცავს ჯანდაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, სანიტარულ ჰიგიენურ უზრუნველყოფას.

ეკონომიკური განვითარება. მათ შორის ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება.

წარადგინა გორის მუნიციპალიტეტის 11 ა(ა)ი.პ -ის 2023 წლის ბიუჯეტები.

აქვე აღინიშნა ის ფაქტი, რომ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია გრძელდება და 2023 წლისთვისაც გორი გაზრდილი ბიუჯეტით არის წარმოდგენილი.

ბიუჯეტის ზრდა სხვადასხვა ფაქტორებითაა რის განპირობებული. ბატონი ვლადიმერის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით გორი ერთ ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია რეგ ფონდიდან გამოყოფილი თანხების ათვისების კუთხით. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ სამინისტოდან დამატებითი თანხების მობილიზება მოხდა.

ასევე 2 მილიონით არის გაზრდილი ახალგაზრდული მიმართულების დაფინანსება.

იყო 6 მილიონი და ახლა არის 8 მილიონი.

### **გაიმართა დისკუსია კითხვა პასუხის რეჟიმში.**

**ნანა ტერმაკოზაშვილი** - იკითხა: დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, სკოლების მოვლა პატრონობის მიმართულებით მიმდინარე წელს თანხების გაზრდასთან დაკავშირებით

**გიგა ბერიძე** - აღნიშნა, რომ, ამ ეტაპზე ჯერ არ არის ცნობილი თანხების გამოთავისუფლების შესახებ, თუმცა სასურველია, რომ წინასწარ მომზადდეს პროექტები, რათა თანხების გამოთავისუფლების შემთხვევაში მზად იყვნენ ინფრასტრუქტურული მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

**დაკო მურადაშვილი** - ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით, მოსახლეობაში ცრუ მოლოდინების და ნიჰილიზმის თავიდან ასაცილებლად, სასურველია რომ მოსახლეობას განემარტოს ისიც, რომ დამატებით ბიუჯეტს ასევე მოჰყვება დამატებითი დელეგირებული საქმიანობა და ის დამატებითი თანხები ხმარდება დიდ ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებას. ასევე სასურველია,

ბიუჯეტის შესახებ საბჭოს წევრებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ და მეტად იყვნენ ჩართული, რათა შეძლონ მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად საბიუჯეტო ინიციატივებში ჩართვა.

**II. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების მიმდინარე პროცესები;**  
*მომხსენებელი თამარ კაპანაძე*

**თამარ კაპანაძე** - ისაუბრა გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პრინციპების, მიდგომების, პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ: 2019 წელს დასრულდა გორის მიწათსარგებლობის გეგმაზე მუშაობა, რომელშიც ჩაიღო უამრავი ადამიანური და ფინანსური რესურსი. გეგმა ემყარება „კარგი მმართველობის“ პრინციპს, ხელს უწყობს გორში არსებული მოსახლეობის შენარჩუნებას. მეორეს მხრივ, არ იწვევენ მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის გადინებასა და საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე დასახლებების დაცვას. პირდაპირ ბმამია ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასა და მოსახლეობისათვის „უსაფრთხო გარემოს შექმნასთან. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ქალაქში ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლება; ქალაქის მოსახლეობისათვის განვითარების თანაბარი პირობების შექმნა;

შესაბამისად საბჭო დაინტერესდა გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების პროცესის მიმდინარეობით, რა გამოწვევებია, კიდევ რა ეტაპებია გასავლელი, რომ გორს ჰქონდეს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც დასრულებულია და დამტკიცების მოლოდინშია.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელმა.

**გუჯა გველაშვილი** - მისი განმარტებით გენერალური გეგმის დამტკიცების საკითხი დროებით შეჩერებულია. მართალია, საკრებულოს არ აქვს დამტკიცებული, მაგრამ სამსახური ცდილობს მაინც გაითვალისწინოს გარკვეული გადაწყვეტილების მიღების დროს და ისარგებლოს არსებული გენ.გეგმით. საბოლოო დამტკიცებისათვის საჭიროა გარემოსდაცვითი სტრატეგიული ანგარიში, რომელიც უნდა დაერთოს დოკუმენტს. ეს არის პროექტი, რომელიც უნდა შექმნან ექსპერტთა ჯგუფმა, რომლის მცირე რესურსიც არსებობდა საქართველოს ბაზარზე. ამ ეტაპისთვის ბაზრის კვლევა ჩატარდა და ცნობილია თუ ვინ შეასრულებს დამატებით სამუშაოებს. ამ ეტაპზე პროცესი შეჩერებულია და განახლდება ახალი წლის დასაწყისში.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილის განმარტებით, მიწათსარგებლობის გენ გეგმა ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ამიტომ ამას ძალიან სერიოზული მიდგომა სჭირდება და შეცდომების დაშვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა კარგი კვლევა და ფრთხილად მოქმედება. დამტკიცებამდე უნდა იქნას ყველანაირი რისკი და ხარვეზები აღმოფხვრილი, რათა სამომავლოდ არ მოხდეს ქალაქისთვის ზიანის მიყენება.

**დაადგინეს/გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია** - შეიქმნას სამოქმედო გეგმა გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ჩაინიშნოს ერთი სამუშაო შეხვედრა საბჭოს წევრების ჩართულობით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

**III. კულტურისა და დასვენების პარკი "ახალბაღის" მიმდინარე მდგომარეობის განხილვა;**  
*მომხსენებელი: დავო მურადაშვილი*

ახალბაღი არის ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკრიაციული ზონა და მისი რეაბილიტაციის საკითხი ფართო საზოგადოების ინსტერესს წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ მისი რეაბილიტაციის პროექტი ისე დაიწყო, რომ სამწუხაროდ მოსახლეობასთან არ ყოფილა გამართული საჯარო კონსულტაციები, არსებობს უამრავი კითხვა და უნდობლობა მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ, ამისათვის

**დაკო მურადაშვილი** - დააყენა ინიციატივა: მოვიწვიოთ მუნიციპალური განვითარების ფონდი და შემსრულებელ სამშენებლო კომპანიასთან ერთად გააკეთონ საჯარო პრეზენტაცია, გააცნონ მოსახლეობას რა იყო დაგეგმილი, რა ეტაპზეა პროექტი, რა არის ხელისშემშლელი პირობები და დაგეგმილთან რა შესაბამისობაშია მიმდინარე მდგომარეობა. აღნიშნული შეხვედრა დაეხმარება ერთის მხრივ მუნიციპალიტეტს, რომ მოსახლეობას ანგარიშვლადებულად მიაწოდოს ინფორმაცია და მეორეს მხრივ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა გამჭვირვალედ მიაღვენოს თვალი მიმდინარე პროცესებს, რაც მათში ნდობის ამაღლებას გამოწვევს.

ამასთან დაკავშირებით **გიგა ბერიძე** გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საწყის პროექტში საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების დამატება, შემსრულებელ კომპანიას მოუწია მერიის მხრიდან შეთავაზებული წინადადებების განხილვა და პროექტში ასახვა, რამაც გაახანგრძლივა პროცესი და შეცვალა პროექტის ბიუჯეტიც.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილის** განმარტებით, სტიქიური მოვლენების გამო, ლიანხვის ნაპირსამაგრების სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო, სხვა შემთხვევაში ახალბადის ტერიტორიას მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება, ამის გამო პროექტის დასრულების ვადები რამდენიმე თვით გადაიწევა.

**მოსახლეობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად კი მერია მზადყოფნას გამოხატავს იშუამდგომლოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან და მოიწვიოს ისინი საჯარო განხილვაზე, სადაც ერთობლივად უპასუხებენ მოსახლეობის კითხვებს.**

**IV. მუნიციპალური ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების განხილვა;**

**იოსებ ალიმბარაშვილი** - მოსახლეობასთან მისი შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ ტინისხიდსა და ორთაშენში მოსახლეობას ესაჭიროება გაჩერებების მოწყობა, რომელიც ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

**გიგა ბერიძე** - აღნიშნული საკითხი დგას დღის წესრიგში. მიმდინარეობს ბაზრის კვლევა და მუშაობა ამ მიმართულებით. მოსაცდელურად დაკავშირებით პროექტები მომზადებულია და მზად არის ტენდერზე გასატანად.

გამომდინარე იქედან, რომ საბჭო აქტიურად არის ჩართული მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, სხდომაზე კიდევ ერთხელ გაჟღერდა ის პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს.

**მერის განცხადებით, მათთვის ცნობილია არსებული პრობლემების შესახებ და აქვთ უკვე შემუშავებული ხედვა, როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემების სისტემურად მოგვარება. მისი განმარტებით, მერია მზად არის არსებული რესურსების გამოყენებით ეტაპობრივად მოახდებინოს რეაგირება.**

- ამ ეტაპისთვის ჩართულია WIFI ავტობუსებში;
- დამატებითი 6 ავტობუსის აღჭურვა ხდება შესაბამისი სტანდარტებით და წლის ბოლომდე ან მომდევნო წლის დასაწყისში გაეშვება მარშუტებზე.

გამომდინარე იქედან, რომ ტაბლოებზე მხოლოდ საწყისი და საბოლოო დანიშნულების ადგილი არის მითითებული, ხშირად მოსახლეობაში იწვევს დაბნეულობას და უჭირთ ორიენტაცია, რომელი ნომერი ავტობუსი რა გზას და ქუჩებს გაივლის. საბჭომ იმსჯელა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესთავაზა მერს, მოხდეს თითოეული ავტობუსის მარშრუტის დატანა ვიზუალურად ქალაქის რუკაზე, გრაფიკულად პოსტერზე და გამოეკრას ან გაჩერებებზე, ან თავად ავტობუსებში, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, იცნობდნენ ნომრების მიხედვით რა გზას გადის თითოეული ავტობუსი.

**V. ქუჩების სახელებების შესახებ მოძიებული ინფორმაციის ანალიზი;**

*მომხსენებელი: იოსებ ალიმბარაშვილი*

**საბჭომ გამოითხოვა მერიიდან ინფორმაცია გორში არსებული ქუჩების შესახებ და იმსჯელა მათი სახელდების მიზანშეწონილობაზე.**

**იოსებ ალიმბარაშვილი** - მისი განმარტებით გორში არ გვაქვს: ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვთისკაცის), ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი მედვინეთხუცესიშვილის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ლუარსაბ I-ის, მარი ბროსეს ქუჩები, რომელთა ცხოვრება-მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები გორს უკავშირდება.

ამ დროს ქალაქში არსებობს ისეთი ქუჩები, რომელთა სახელებიც უცნაური წარმოშობის და ისტორიას მოკლებულია. მაგალითად: გმირების ქუჩა- რომელიც არ არის ცნობილი კონკრეტულად რომელ გმირებზეა საუბარი, ალექსანდრე ლერმონტოვი- ასეთი სახელით არავინ არ არის ცნობილი, შეიძლება უნდა იყოს **მიხეილ** ლერმონტოვი, არსენა მარაბდელის ქუჩა- მაშინ როცა ნაწარმოების გმირის ქუჩა გვაქვს, რატომ არ გვაქვს თავად ავტორის ქუჩა? ასევე გვაქვს ქალაქში , სკვერის ქუჩა,რომელიც ასევე შესაცვლელია, შინაარსს მოკლებულია. ქალაქში არის ჩოდრიშვილის ქუჩა- ადამიანის,რომელიც გორელების დახვრეტის საქმეში ფიგურირებდა,რატომ უნდა იყოს ქალაქში მისი სახელობის ქუჩა?!

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ იმსჯელა და ხმათა უმრავლესობით შეჯერდა შემდეგ რეკომენდაციაზე:

**მიეწოდოს მერიას იმ ქუჩების ჩამონათვალი, რომელთა წარმოშობაც საეჭვოდ და გაურკვევლად მიაჩნია საბჭოს და ამ ქუჩის მაცხოვრებლებთან კონსულტაციის საფუძველზე მოხდეს მათი ცვლილების საკითხის ინიცირება.**

## **VI. სანიაღვრე არხების გაწმენდის და ნაგავსაყრელების საკითხი;**

*მომხსენებელი:დაკო მურადაშვილი*

**დაკო მურადაშვილი** - დააყენა ინიციატივა ქალის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელისა და ქალაქში არსებულ სანიაღვრე არხების გაწმენდის თაობაზე.

ქალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი, რომელიც ამ ეტაპზე კონტროლს ადარ ექვემდებარება და ნაგავი პირდაპირ კორპუსებთან ახლოს, გზაზევე იყრება. ქალაქის მასშტაბით, სანიაღვრე ღია არახები სავსეა ნაგვით და ფოთლებით, წვიმის დროს ხდება დატბორვა და ქუჩების დაბინძურება. სასურველია ამ ორ ფაქტზე კეთილმოწყობის სამსახურის მხრიდან მოხდეს სწრაფი რეაგირება.

დამატებითი საკითხები:

**ვალერი სუხიშვილი** - აღნიშნა,რომ სოფელ მეჯვრისხევის კულტურის სახლი,რომელიც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ იმყოფება რეაბილიტაციას საჭიროებს.

**დაკო მურადაშვილი** - აღნიშნა,რომ მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით, სასურველია პერიოდულად იმართებოდეს სხვადასხვა სახის გამოკითხვები, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს რეგ ფონდიდან და მუნიციპალური გაანვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე შეადგინოს.

**დაკო მურადაშვილი**მა ასვე დამატებით გააკეთა განხცადება დებულებაში შეტანილი ცლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც :

- ოქმებზე რეაგირება მერიის მხრიდან მოხდება წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე

- საბჭოს სხდომებზე დასწრება და საკითხის ინიცირება შეეძლება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
- საბჭოს მიერ წლიური საქმიანობის შეჯამება მოხდება მოსახლეობისთვის ანგარიშის წარდგენის გზით.
- საბჭოს სხომების გაიმართება ყოველთვიური სიხშირით .

**დაკო მურადაშვილი** - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეოთხე სხდომა. მაღლობა გადაუნადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის.

საბჭოს #5 სხდომა გაიმართება 2022 წლის დეკემბრის თვეში.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 14 საათზე

27.11.2022

საბჭოს თავმჯდომარე: დარეჯან მურადაშვილი



## დანართი 1. რეკომენდაციები

"გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის №20.202215114 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება შემდეგი რეკომენდაციების შესახებ:

- I. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობის წერილი მეჯვრისხვევის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის თაობაზე შესაბამის უწყებასთან.
- II. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერს შეიქმნას სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება ის საჭირო აქტივობები, რაც გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებასთან დაკავშირებით.  
  
ჩაინიშნოს ერთი სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების და საბჭოს წევრების ჩართულობით აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
- III. რეკომენდაცია მიეცეს მერიას მოახდინოს შუამდგომლობა მუნიციპალური განვითარების ფონდთან და შპს „AWARD“ თან, რათა გაიმართოს ახლაბადის მიმდინარე სამუშაოების შესახებ საჯარო პრეზენტაცია და განხილვა.
- IV. ისეთი გაურკვეველი წარმომბობის მქონე ქუჩები ქალაქში, როგორცაა ქარხნის ქუჩა, გმირების ქუჩა, სკვერის ქუჩა, ჩოღრიშვილის ქუჩა- ამ ქუჩების მაცხოვრებლებთან კონსულტაციის საფუძველზე მიეცეს მერიას რეკომენდაცია, მოხდეს ალტერნატიული სახელდების შეთავაზება, როგორცაა ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვთისკაცის), ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ლუარსაბ I-ის, მარი ბროსეს ქუჩებით, რომელთა ცხოვრება-მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები გორს უკავშირდება.
- V. მუნიციპალური ტრასპორტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს თითოეული ავტობუსის მარშრუტის დატანა ვიზუალურად ქალაქის რუკაზე, გრაფიკულად პოსტერზე და გამოეკრას ან გაჩერებებზე, ან თავად ავტობუსებში, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, იცნობდნენ ნომრების მიხედვით რა გზას გადის თითოეული ავტობუსი.
- VI. გაიცეს რეკომენდაცია, რომ გაკონტროლდეს სამშენებლო ნაგავსაყრელები
- VII. გაიცეს რეკომენდაცია, რომ გაიწმინდოს სანიაღვრე არხები და სადაც შესაძლებელია, მოხდეს მათი ცხაურებით დაფარვა.
- VIII. მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდის მიზნით, სასურველია მერიამ შეიმუშაოს საჯარო კონსულტაციების გამართვის დამატებითი მექანიზმები